სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

01 მაისი 2025

N 21/4082

შპს „ჯორჯია უნივერსალს“
მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა კვირიკე, მე–3 ქ., №10
ელ. ფოსტა: georgiauniversal2018@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №3124 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხუცუბანში შპს „ჯორჯია უნივერსალის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი და სასაქონლო ბეტონის დამამზადებელი საწარმოების ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2024 წლის 20 აგვისტოს №21/8911 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- დოკუმენტის მიხედვით, საწარმო მოწყობილია შპს „ჯორჯია უნივერსალის“ საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.39.05.033 და 20.39.05.034), თუმცა, თანდართული shp ფაილების გადამოწმებით, საწარმოს ტერიტორია ნაწილობრივ გადადის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.39.05.157) და ასევე, შპს „ლეგის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.39.05.115). შესაბამისად, თანდართული shp ფაილები საჭიროებს კორექტირებას და სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი წყალაღებისა და წყალჩაშვების, ასევე, საოფისე შენობა-ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატები არ შეესაბამება თანდართულ shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და სასაქონლო ბეტონის დამამზადებელი საწარმოების მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, ასევე, მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, მიმდებარედ არსებულ შპს „ლეგის“ საწარმოსთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებაში მითითებულია, რომ „საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს ტექნოგენურ ლანდშაფტს, სადაც ხდებოდა წარსულში ქვიშა-ხრეშის აქტიური მოპოვება და გადამუშავება. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში საპროექტო ტერიტორიას და მოსახლეობას შორის არსებული რელიეფური პირობები (10 მ სიმაღლის ფერდობი), წარმოადგენს აკუსტიკურ ბარიერს და მინიმუმამდე შეამცირებს მტვრის და ხმაურის გავრცელებას მოსახლეობის მიმართულებით“. მითითებული დასკვნა გაკეთებულია შესაბამისი გაანგარიშების გარეშე და არ არის წარმოდგენილი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და სასაქონლო ბეტონის დამამზადებელი საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები და მიღებული

ხმაურის დონე, მიმდებარედ არსებულ შპს „ლეგის“ საწარმოსთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;

- სკრინინგის განცხადების თანახმად „ობიექტის ტექნიკური წყლით წყალმომარაგებისთვის (ბრუნვითი წყალმომარაგება) პროექტით განხორციელების მიზნით მომზადებული და წარდგენილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურში სათანადო სანებართვო დოკუმენტაცია (ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობები), თანახმად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №745 ბრძანებისა.“ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ან/და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილების თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/4082-21-2-202505011533